№ 180 აგვისტო 22, ოთხშაბათი 1890 აგვისტო 22, ოთხშაბათი № 180

# ივერია

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1890 1877—1890

ფასი გაზეთისა

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„Иверія" (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ნიკოლოოზ ავალიშვილი დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა თავის მეუღლის თებრო სპირიდონის ასულის გარდაცვალებას და სთხოვს რომ მობრძანდნენ ხუთშაბათს, 23 აგვისტოს, ავლაბარში, ფალავანდოვის ქუჩაზედ, სახლი № 6 და 8, მცხედრის გასასვენებლად წმ. მარინის ეკლესიაში, პანაშვიდი გადახდილი იქმნება 22 აგვისტოს შუადღისას და საღამოს 7 საათზედ. (2—1)

## სასწავლებელი და პანსიონი
### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება. (18—5)

## ახალი ამბავი

*** მის ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის ნება-დართვით 1 სექტემბერს სამრევლო საეკლესიო სკოლა გაიმართება დიდუბის წმ. ღვთის მშობლის ეკლესიასთან. ამ სკოლაში მიიღებენ ყმაწვილებს (ვაჟებს) 8—10 წლისას, წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლად. მოთავე ამ საქმისა არის იმავე ეკლესიის მღვდელი მ. ბესარიონ ზედგინიძე, რომელსაც უნდა მიჰმართონ, ვისაც ჰსურს შვილი მიაბაროს ზემოხსენებულს სკოლაში. ამ ნაირივე სკოლა იმართება ქაშუეთის ეკლესიასთანაც. ეს სკოლაც სექტემბრის 1-დგან დაიწყებს მოქმედებას.

*** ქვემო-ნიქოზი: აქ პურის გამოსავალი კარგი იყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყვითელი მატლი გამოერია, რომელიც ორის პურის მარცვლის სიგძეა. ამბობენ, რომ ასეთი მატლი კარგმა მოსავალმა ცისო.

*** იქიდამვე: ილისში აქ სოფლის ყრილობა მოხდა და გადასწყვიტეს თავიანთის პატარა ეკლესიის განახლება და ახალის კანკელისა და სამრეკლოს დადგმა. ამოირჩიეს კომიტეტი, გაიწერეს ფული და ამ ფულის შეკრებას შეუდგნენ კიდეც.

*** ჭიაური (სიღნაღის მაზრა): სოფელ მიხაილოვკაზე ჩამოდის ჭიაურის ხევი. ამ ხევზედ დამართულია ხუთი-ექვსი წისქვილი, რომელთაც წრეულს ისეთი ამინდები დაუდგათ, რა გვარიც არას დროს არ ენახათ. ყველა წისქვილი სავსეა საფქვავით. ერთ წისქვილთან 25 ურემი დავთვალეთ, ხორბლით სავსე ტომრებით დატვირთული. წინად აქ ბევრი აყალმაყალი და უწესოება ხდებოდა წისქვილის ჯერის გამო. ეხლა-კი მეპატრონეთ ისეთი წესი შემოუღიათ, რომ რომელი ურემიც წინ მოაწევს წისქვილამდე, იმას წინ დააყენებენ და რომელიც ამას მოჰყვება, იმას პირველის შემდეგ. ასე ერთი მეორეზედ ამწკრივებენ ურმებს და რიგ-რიგზე ჰფქვენ. ამ ნაირად იკრიფება მრავალი ურემი და იმათი პატრონები უცდიან ჯერს. ხანდახან ორ-სამ კვირასაც დაბანდდებიან ხოლმე, სანამ ჯერი ერგებოდეთ. ყველა ეს ხალხი ქიზიყელობაა. ქიზიყში სოფლების ახლო საწისქვილე წყლები არ არის და ამიტომ ყველანი ხსენებულ წისქვილებს აშურებენ 20-სა და 30 ვერსის მანძილზე. გვიკვირს, რატომ მდ. ალაზანზე არა ჰმართავენ ისეთსავე წისქვილებს, როგორიც ტფილისში მტკვარზედაა დამართული. ალაზანი ქიზიყის სოფლებს 10—12 ვერსით ჰშორავს და წისქვილები რომ დაემართნათ, აღარ მოუხდებოდათ იმ სიშორეზე სიარული და არც დიდხანს დაბანდებოდნენ. ქიზიყში კარგა შეძლებული გლეხები და თავადები ბევრნი არიან. ნუ თუ ამათ ამხანაგურად და ან თითონ სოფლებს საერთოდ არ შეუძლიანთ გამოიღონ 2,000—3000 მან. და საკუთარი წისქვილი გამართონ ალაზანსა, ანუ სხვა წყალზე?.

*** მგელი-სენაკი: ფერისცვალობის ბაზრობამ კარგად ჩაიარა. ხალხი და მოვაჭრე ბლომად მოვიდა და ყველაფრის იაფობა იყო. ამ ხანად შარშანდელზე მეტი მოვიდა და გაიყიდა: საქონელი, შალი, აბრეშუმი დარაია და სხვ. ამ ზაფხულს წარმოდგენაც გაიმართა ჩვენს დაბაში. კულაშიდგან მოვიდა ქ-ნ კ. კურნალისა და იმან ითავა ეს წარმოდგენა. შემოსავალი აქაურ სათავად-აზნაურო სკოლისათვის იყო დანიშნული, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩვენის საზოგადოების გულგრილობა, წარმოდგენამ ხარჯიც-კი ვერ დაჰფარა და 33 მანათი ზარალი მოგვცა.

*** რაჭა, 14 აგვისტო: ამას წინად «ივერიაში» მოხსენებული იყო, რომ დ. ონის ხიდი უკანასკნელს მდგომარეობაშია, დღე-დღეზე გამველელ-გამომვლელი, მეეტლე და მეურმე, სუყველა იმის ჩალეწას მოელის, ხიფათისა და უბედურების თავზე დატრიალებას, მაგრამ ვინ გაგცათ ხმა—ხიდი ისევ იმ მდგომარეობაშია. აი დღეს და აი ხვალ ეს ხიდი ლაწანს მოადებს და მაშინ უყარონ კენჭი, როცა მდ. რიონის გამძვინვარებულს ტალღებში ბატებივით პარტყუნს დაიწყებს ხალხი. აქაურს ადგილობრივს ადმინისტრაციას, როგორც ამბობენ, ეს სამი თითვეა. უცნობებია მთავრობისათვის ამ ხიდის მდგომარეობა და მისის შეკეთებისათვის ხარჯიც აღურიცხავს, მაგრამ ნება-რთვა და განკარგულება ჯერ-ჯერობით-კი არსაიდგან დაძრულა. ამ „გძელუტა" ხიდზე მუდამ გაბმულია ქარავანი და სანამ უბედურების ჩარხი არ დატრიალდება, როგორც ქუთაისის ჯაჭვის ხიდზედ მოხდა, მინამ „ყურის მგდებელნი" ყურიდგან ფხას არ გამოიღებენ. ამ ხიდმა თქვენი ჭირი წაიღოს, არ გვეღირსა ამისი შეკეთება და არა, ჩატეხილს ადგილებზედ უბრალო თხელ ფიცრებს ატყეპებენ და რა ეუყოთ, მთელის მაზრის „ჭირის სანაცვალოდ" რომ ათიოდე კაცის სული იმსხვერპლოს და ამდენს ხალხს თავს შემოევლოს, მაგრამ სხვა ხიდებზედაც მოგახსენებთ—იმ საფოსტო ხიდებზე, რომლებზედაც მუდამ გაბმულია ხარ კამეჩი, ეტლები და ფოსტა. ყოველს ცისმარა დღეს „ბღრიალების" მომლოდინე არიან საწყალი მეეტლები და მეურმეები, რომლებიც ფოსტას, უწერაში სხვაგნებურს ხალხს და ონში ნივთებს განუწყვეტლივ ეზიდებიან. რაჭა-ოსეთის გზა და მისი ხიდები იმყოფება ბ-ნ კამაროვსკის ხელში და საკვირველია, რატომ არ მიაქცევს ყურადღებას? თვრამეტი ათასი მანათია გადადებული ამ გზისა და ხიდების საწმენდად და საკეთებლად ყოველ წლივ და ადამის ქამის მოცხრონკვილს ბებრუხანას-კი დაჰგვანებიან. შეიდს ამ თთვეს სოფ. უწერაში კინაღამ ერთი საზიზღარი უბედურება არ დატრიალდა. უწერიდგან ონისაკენ ეტლით მიდიოდნენ მაზრის ექიმი ფერშლითურთ და ერთი კიდევ სხვა. წინ მოუდიოდა ვილაცას რამდენიმე კამეჩი. როგორც-კი შემდგარიყვნენ ხიდზე ორიოდე კამეჩი და ეტლი, უწერის ხიდს უცბად „ბლაწანი" დაეძახნა და შუაზე ჩატეხილიყო. ცხენები ეტლითურთ, კამეჩები და კაცები სულ ერთიან თან ჩაჰყოლოდნენ, მხოლოდ რაღაც-ნაირად ექიმი და

## ფელეტონი

### მოგონება*)

(დასასრული *)

VII

მოვედი სახლში სიხარულით ანეტარებული. საკვირველია ადამიანის ცხოვრება: გუშინ სიკვდილი მწყუროდა და დღეს-კი ბოლო მოუღებელი სიცოცხლე მენატრებოდა. დავწექ, მაგრამ არ დამეძინა. ჩემი გული და სული ისევ ზეზიასთან იყო, ჩემი გონება ისევ იმაზე ჰფიქრობდა და ჩემს თვალებს ისევ იმისი სახე ელანდებოდა ცხოვლად. „მოშორება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია; ვინც არა იცის, არ ესმის, ესე დღე როგორ ძნელია!"

ბოლოს ჩამეძინა განთიადის ხანს ისეთის ნეტარების ძილით, რომ მთელს ჩემს სიცოცხლეში არა მძინებია ისე ტკბილად და არ გამომიცდია ის ენით გამოუთქმელი გულის აღფრთოვანებული სიხარული, რაც მე ზეზიასაგან თავისის მტანჯველის სიყვარულის გამოცხადების შემდეგ ვიგრძენ და გამოვცადე. ღმერთო ჩემო! ისე ძლიერად შეიპყრო ჩემი გული და გონება ზეზიას ცეცხლივით მგზნებარე სიყვარულმა, რომ ძილშიაც-კი მისი უმანკო-ანგელოზური სახე მომესიზმრა. სიკვდილამდე არ დამავიწყდება ის სიზმარი. ან-კი ვინ დაივიწყებს იმ გვარად ნანახს სიზმარს, გულითაც რომ ეწადოს მისი დავიწყება. აი თვით ის სიზმარიც:

ღამე იყო. ბნელოდა. მე ერთს ბიბინა-მწვანით მოსილს და ცამდე მიბჯენილს მთის კოწოხზე ვიდექ მარტოკა ლიტაო ხესავით და მოუთმენლად ველოდი მთვარის ამოსვლას. შორს, ცხრა მთას იქით, კავკასიონის მთის წვერებთან ცის ნაპირი ისევ ცეცხლის ალივით ენთებოდა ჩასვენებულის მზის შუქისაგან და საამურად აკაშკაშებდა შებინდებულს დასავლეთს. აგერ ამოგოგდა, როგორც იყო, კალოსოდენა, გაბადრული მთვარე გალილისფრებულის მთის წვეროიბიდამ. შეიცვალა სურათი ქვეყნისა: მთვარემ სანატრელად გაანათა მთლად მიძინებული ქვეყანა კიდითკიდემდე და ნათლად დამანახვა ის, რასაც ბნელაში ვერ ვარჩევდი. იმ უზარ-მაზარ მთას, რომლის წვერზედაც მე ვიდეგ, აღმოსავლეთით შავი ზღვა ედგა წინ ცის ძირობამდე გადაჭიმული და დასავლეთით თვალ-უწვდენელი მწვანე-ხავსივით მინდორ-ველი ჰქონდა მობმული, რომელიც ხელის გულივით მოსჩანდა თავისის იკლიბაკლო**) ჭალა მინდვრებით, სარკესავით ლაპლაპა მდინარეებით, პირუტყვთა ჯოგებითა და სოფელ-ბაღებით აჭრელებული.

ოქროს სხივებით გაბრწყინვებული მთვარე სანატრელად აცისკროვნებდა სამოთხის მცენარეებით მიმოხატულს მთა-ბარს და ველის ყვავილების სურნელებით სულ-ჩადგმული ნელი ნიავი გულის საყვარელივით ყელს მეხვეოდა ნაზად, ნარნარად; იგი ზეციურს ნეტარებას მაგრძნობინებდა და ბიბინით ალფერებდა და ალმაზფერად-ფერადებდა მწვანით მოსილს მთაველს თავისის მრავალსახოვანის ედემნერგის ყვავილებით. იქვე ჩემს ახლოს ლურჯი ანკარა მთის წყარო გიჟმაჟურის შუილ-ჭუხილით მოჩუხჩუხებდა გოხნარიან კლდის ცაცაბოდამ, შეუპოვრად ეჯანხალავებოდა გზა-გზა მინარბენი ტინის ბურჯებს და თეთრად აქაფებულს წინწკლებს ისვროდა აქეთიქით გაბრაზებული. შორს, საიდღამაც მწყემსის სალამურის საამური ხმა მოისმოდა: იგი ხან გარინდებული ჭექა-ქუხილივით გაჰკიოდა სამოთხის მთა-ველებში ჩახატულს ქვეყანას, ხან წყნარდებოდა, მდუმარდებოდა, მტრედივით ღუღუნებდა, ხან კვნესოდა, იტანჯებოდა, ქვითინით გულს იკლავდა, ხან ქარიშხალისაგან აზვირთებულ ზღვასავით შფოთავდა, მღელვარებდა, გრგვინავდა და ბოლოს ისევ სასო-წარკვეთილების ცრემლებს ეძლეოდა თავ-განწირული. ო, ღმერთო! ვინ იცის, რას შესტიროდა ზეცას უსიხარულოდ და რას სწყევლიდა მოღალატე წუთი-სოფელში ხმა ცრემლ-სადენი, ხმა საამური!..

ძირს, ზღვის-პირის მინდვრიანზე დატვირთული ურემი მიჭრიალებდა თავ-ქვე და ტკბილად ღუღუნებდა მეურმე. „ამაღამდელო ღამეო, ნუ გაჰთენდები მალეო, ბროლისა მკერდსა ვეხვევი, ველარ ვიშოვნი ხვალეო". იმავე შარა-გზაზე ვიღაც გუდა ნაბად აკიდებული ცოლ-ქმარნი მიჩანჩალებდნენ საითღაც და გარისხებულის ხმით უყვიროდა ქმარი ცოლს: „მოიჭერ ენა, ვა ცოდვილო, ბალღამიანი და გესლის შხამით მოზავებული, მწარე მეტყველი, თორემ გაგგლეჯავ შუაზედა, ვით ასპიტს გველსა, და დაგიბნელებ სამუდამოდ წუთისოფელსა? აი დაიქცეს თქვენი გაჩენა, თქვენი მოდგმა და თქვენი ენა!.." ცოლი ქმრის ჯავრობას აინუნშიაც არ იგდებდა და გულ-არხეინად მიღიღინებდა: „ვირი ხეზე როგორ გავა, იავ-ნანინაო; მკვდარი ომში როგორ წავა, ვარდო-ნანინაო!" ამ დროს ზღვაზე ხომალდი გამოჩნდა. ხომალდიდამ დოლ-დუდუკის ტკბილი ხმა მოისმოდა და ვიღაც გულ-წარმტაცის გრძნობით დაჰმღეროდა დუდუკს: „ხანა ვღონდები, ვიცრემლები, გულ-ვსევდიანობ, ხან ვიღრიჭები, ვლაზღანდარობ, ენა-ვმზიანობ! ხან ზღვისა ღელვას ვებრძვი, ჯაფით შავს დღეს ვიყენებ და ვემუქრები, გავალ ნაპირს, თვალს დაგიყენებ"!.. იქვე, შარაგზაზე, ვიღაც შეთოფ-იარაღებული მხედარი საიდღაც ცხენს მიაქროლებდა გმირულად და ვაჟკაცურად მიიმღეროდა: „თუ რო მოვკვდე, ჩემი ხმალი, დედავ, ჩემს შვილს შეუნახე; მეც მამას გვერდით დამმარხე, მიტირე და მივაგლახე!"

ბოლოს იმავე გზაზე მამა-შვილი ჩაიარეს. მამა რაღაცას მიელაპარაკებოდა შვილს და შემდეგ ასე არიგებდა: „არა დროს აჰყვე ქვეყნისა ჭკვასა: ცრუ-ბრძენთა სიტყვას სხვასა-დასხვასა, ვინ იცის, შვილო, შურით და მტრობით ზოგი რას იტყვის და ზოგიც რასა. ნარეკლიანი უღლელიც რომ სავლელ გზად აქციო, მაინც

*) იხ. „ივერია" № 166, 167, 168, 169, 170, 17?, 174, 175, 176 და 177.

**) მიხვეულ-მოხვეული, უსწორ-მასწორო.

ფერშალი შერჩენილიყვნენ სამშვიდობოზედ. ეს ხიდი 6—8 საჟენის სიმაღლეზეა გადებული. უბედურება არა მომხდარა-რა: ცხენები ოდნავ შეილახნენ, მეეტლემ გული იტკინა, ორიოდე კამეჩმა ფეხი მოიმტვრია და სხვა არაფერი. ხიდის ჩატეხა და ბ-ნ კამაროვსკის უეცრივ ხიდთან მისვლა ერთი იყო. ეს კიდევ არაფერიაო, ებრძანებინა: მაგრამ „ნაკიეთის ხიდს (უწერის ხიდზე ცოტა მოშორებით არის)-კი დიდი ხიფათი მოელისო. მაშ რატომ აღარ აკეთებენ, თუ იციან კიდეც, არ გვესმის? არა სანატრელს მდგომარეობაში იმყოფება აქაური სოფლის ხიდებიც და გზები ხომ აღარ არის და აღარ...

*** „Новое Время" ამბობს: რადგან ამ ჟამად შავის ზღვის პირად უკვე გაყვანილია რკინის გზა, ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა, მიაქციოს დიდი ყურადღება აფხაზეთს და იმის წარმატებას ეკონომიურად და ზნეობრივად. მთავრობას განზრახვა აქვს, მისიონერები გაჰგზავნოს და რამდენისამე სამღვდელოს კრებული დააწესოს აფხაზეთში. ამ სამღვდელოთ უნდა იცოდნენ აფხაზური ენა და რუსულ ენის გავრცელებასა სცდილობდნენ. სხვა-და-სხვა ღონისძიება უნდა იქმნას ხმარებული, რომ აფხაზებმა შეისწავლონ სასოფლო მეურნეობა და მებაღეობა. უფრო იმ მეურნეობას უნდა მიექცეს ყურადღება, რომელსაც ამ ჟამად მისდევენ აფხაზები.

*** 20 აგვისტოს, პოლიციის მეათე ნაწილში, ტფილისის მცხოვრებელმა არტემ ვართანის ძემ ბებუროვმა დიდუბის საეკლესიო მინდორზედ მძინარე ალბულაღის მცხოვრებლის [illegible] მოსისოვის შემოჰხსნა ვერცხლის ქამარი, ღირებული 80 მან. დამნაშავე შეიპყრეს, ოქმი შეუდგინეს და სასამართლოს გადასცეს.

*** ამავე დღეს, პოლიციის მესამე ნაწილში, ღამის ათს საათზე, დიდ წყლის საზიდავ ქუჩაზე ჯიმშეროვის სახლთან იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და საზებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 21 ამ თვისას, ღამის ორს საათზე, პოლიციის მეცხრე ნაწილში, „ივერიის" სასტუმროს მოსამსახურემ სოფელ ხარაგაულის მცხოვრებელმა გლეხმა სანდრო ქრისტეფორეს ძე არივაძემ ასისთავის მეუღლეს მარიამ პავლეს ასულს მასკაკოვს მოჰპარა 125 მან. ფული. დამნაშავე შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ზემო-ნიქოზი. მკითხველს ეხსომება, რომ ამ სოფელში იყო 1,500 წლის ტაძარი, რომელიც ისე დაძაბუნებული იყო, რომ ათ წელს ვეღარც-კი გასძლებდა და მთლად ნანგრევებად იქცეოდა, მაგრამ გამოუჩნდნენ გულ-შემატკივრები, შეადგინეს კამიტეტი და მიჰყვეს ხელი ამ დიდებულის ტაძრის განახლებას. მთავრობისაგან შემწეობა არა იყო-რა, და თვით ტაძარს ხომ, რა თქმა უნდა, ამისთანა საქმისათვის რა შეძლება ექმნებოდა. დიდს გაჭირებაში იყო კამიტეტი უფულობით, ხელის შემწყობი არავინა ჰყავდა, მაგრამ ამით კამიტეტის წევრთ მხნეობა არ დაუკარგავთ და 1,200 მეტი ეგზემპლიარი მოწოდების წერილი მოუფენიათ მთელს საქართველოსა და რუსეთში. იმედი არ გაუმტყუნდა კამიტეტს; აღმოჩნდნენ ღვთის-მოყვარულნი და გულ-შემატკივარნი და მოაწოდინეს კამიტეტს თვისი წვლილი ზემო-ნიქოზის ტაძრის აღსადგენათ. ვისაც გაახლებამდინ უნახავს ეს ძალზე დაძაბუნებული თხუთმეტის საუკუნის ტაძარი, ეხლა რომ ნახოს, ვერ იცნობს და არც დაიჯერებს, რომ შესაძლო ყოფილიყო ასე მცირე დროში და მცირე საშუალებით დაემ- [illegible] სანიშნავი საქმე. ჯერ კანკელი დადგმული არ არის და როდესაც დაიდგმება კანკელი ახალის ხატებით, მაშინ იქნება სწორედ სამაგალითო რამე. ერთ სართულიანის კანკელის გეგმა დიდის ხელოვნებით და იშვიათის ცოდნით არის შედგენილი გორის საოსტატო სემინარიის მასწავლებლის კ. სტ. სოკოლოვისაგან, რომელმაც კამიტეტის თხოვნით მიიღო უსასყიდლოდ შრომა და ისეთი ჩუქურთმები გამოიყვანა გეგმაზე, რომლისთანაც 1500 წლის წინად იხმარებოდა, ე. ი. იმ დროს, როდესაც არის აშენებული ზემო ნიქოზის ტაძარი. კანკელს აკეთებს თავ. თარხნიშვილი, რომელმაც საკმაოდ თავი იჩინა გორში, როგორც კარგმან კანკელის დამდგმელმა და ჩუქრთმის ამომჭრელმა ოსტატმა. ხატებს ამზადებს ი. გ. პატკანოვი, რომელიც, თუმცა ცოტა ხანია, რაც ტფილისში დასახლებულია, მაგრამ თავის მშვენიერის ხელოვნებით სწორედ მაღლა გაითქვამს სახელს. როდესაც ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სანიმუშო ხატები ამოიტანა ქალაქიდგან, ისე მოეწონა ყველას, რომ მაშინვე გაურიგდნენ და მიანდეს გორის საკრებულო ეკლესიის შიგნით დახატვა და ზოგის ძველს მხატვრობის განახლება. სასურველია, რომ ამისთანა საუცხოვო მხატვარს მიაქციონ ყურადღება. კამიტეტს ჰსურს ერთი სამწირველო ზემო-ნიქოზის ტაძრისა აკურთხოს წმ. რაჟდენის სახელზედ, რადგანაც, რამდენადაც ვიცით, საქართველოში ამ წმინდანის სახელზედ არსადა ყოფილა სამწირველო და თვით ზემო-ნიქოზის ტაძარი, რომელშიაც წმ. დიდი მთავარ-მოწამე საქართველოს ეკლესიისა რაჟდენი განისვენებს, ამაღლების სახელზეა ნაკურთხი.

22 ივლისს კამიტეტის წევრნი იყვნენ შეკრებილნი ზემო-ნიქოზში და შემდეგი მამა-შვილური საუბარი ჰქონდათ ზემო-ნიქოზელებთან ტაძრის განახლების გამო. კამიტეტის თავმჯდომარემ, თავად-აზნაურთა წი- [illegible] მა მიჰმართა ზემო ნიქოზელებს შემდეგის სიტყვებით. „ეს დიდებული და მოხუცი ტაძარი, აღშენებული ვახტანგ გორგასლანის მიერ ამ სოფელში, ამტკიცებს, რომ ამ სოფლის მკვიდრნი ყოფილან ღირსნი ამისთანა ტაძრისა, რომლის ბადალიც ბევრი არ მოიპოვება მთელს საქართველოში. ამ სოფელში იმიტომ აუშენებია ეს ტაძარი დიდ ვახტანგს, რომ აქაურებს დაუმსახურებიათ ყურადღება ძლიერის მეფისა სარწმუნოებისა და სამშობლოს ერთგულებით და ამ ნაირად გამხდარან ამ ტაძრის ღირსნი. ნეტავი იყოს ხსენება მათი. უპატრონეთ ამ ტაძარს, როგორც თქვენი მამა პაპისგან დამსახურებულ ჯილდოს, და თქვენი შრომა ერთი ათად დაფასდება. ნეტარება თქვენს მამა-პაპას და ნეტავი თქვენ, რომ მფარველად გყავთ წმ. დიდი მთავარ მოწამე რაჟდენი, რომელიც ამ თქვენ 1500 წლის ტაძარში განისვენებს. უპატრონეთ ამ ტაძარს და თქვენს მზრუნველობას ნუ მოაკლებთ ამ ვახტანგ გორგასლანისაგან მონიჭებულს სახსოვარს".

კამიტეტის წევრმა თ. ზაქარია ბესარიონის ძემ ფაღლენიშვილმა სთქვა: „ღმერთს მადლობა შევსწიროთ, რომ ეს დიდებული ტაძარი ამისთანა მდგომარეობაში ვნახეთ; დიდება ღმერთს, რომ შეგვეძლებინა ჩვენ ამისთანა დიდისა და მძიმე საქმის შესრულება. რას გვეტყოდნენ ჩვენნი შვილიშვილები, რომ ჩვენის დაუდევრობით დანგრეულიყო და მიწიდგან აფხეკილიყო ეს შესანიშნავი საისტორიო ნაშთი. ჩვენის შვილიშვილების საყვედური განა სამართლიანი არ იქნებოდა; თქვენ, ზემო ნიქოზელებო, დიდი ღვაწლი გასწიეთ, სამაგალითო საქმე გააკეთეთ, არც შრომა და არც შეძლება არ დაზოგეთ და თქვენს ამნაირ მოქმედებას დააფასებს შთამომავლობა. ბევრი გაკეთებულია და ცოტა-ღა დაგვრჩენია და ნუ მოაკლებთ ამ ტაძარს თქვენს შემწეობას".

მოგზაური

## რუსეთი

ამ დღეებში კრება იყო პეტერბურგის მონადირეთა საზოგადოებისა. ამ კრებაზედ განიხილეს ნ. ა. იზვოლსკის მიერ შედგენილი პროექტი ნადირობის გამოფენის პროგრამისა. გამოიანგარიშეს, რომ ამ გამოფენას ხარჯად 15,000 მანათი დასჭირდება თურმე. გამოფენა რუსეთისაა, მაგრამ უცხოელებსაც შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა და თავიანთი ნიმუშები გამოგზავნონ, თუ-კი იმ ნიმუშებს რაიმე მნიშვნელობა ექნება რუსეთის მონადირეთათვის.

— ინგლისელთა სააქციონერო საზოგადოება „The Salt Union timited" შუამდგომლობს რუსეთის მთავრობის წინაშე, ნება მოგვეცით რუსეთშიაც იმუშაოს ჩვენმა საზოგადოებამაო. ამ საზოგადოებას განზრახვა აქვს, მარილის მადნები აწარმოოს და საქიმიო ქარხნები დამართოს.

რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების მუდმივმა კომისიამ სატეხნიკო განათლებისამ ახალი პროგრამა და მეთოდი შეიმუშავა არითმეტიკისა და გეომეტრიის სწავლებისა სატეხნიკო სასწავლებლებში შემოსაღებად და საერო განათლების მინისტრს წარუდგინა დასამტკიცებლად. კომისია იმ აზრისაა, რომ რაც შეიძლება უკეთესად მოეწყოს სწავლის საქმე სატეხნიკო სასწავლებლები და ხარჯიც შემცირდესო.

— შემუშავდა და უკვე დამტკიცდა კიდეც პროექტი „კერძო მასწავლებელთა დამხმარებელ საზოგადოებისა" საზოგადოება ერთი-ერთმანეთის დახმარებაში უნდა იყოს. იმას გარდა, რომ საზოგადოება ფულად შემწეობას მისცემს შეუძლებელ წევრთ, ეცდება კიდეც, გაკვეთილებიც უშოვნოს.

## უცხოეთი

საფრანგეთი. „Figaro"-ში დაიწყეს ბეჭდვა ბულანჟიზმის ისტორიისა, მისის ავ-კარგისა და შინაურ გარემოებათა გამოსარკვევად: „Coulisses du boulangiste". ამ წერილის პირველი ნაწილი უკვე დაიბეჭდა და თუმცა განსაკუთრებული ინტერესი არა აქვს-რა, მაინც ზოგიერთის მხრით-კი საყურადღებოა. ავტორის მიერ ნაუწყებ მასალიდგან, თუ დაეჯერება, ის აზრი შეუძლიან

---

აგიწინააღმდეგდებიან, მაინც არად ჩაგაგდებენ, მაინც გაგკიცხვენ და შემოგაგინებენ შურის გულა უნიჭო ბრიყვები და წიკომაკო ქონდრის კაცუნები, იმისთვის რომ უნიჭო ნაცარმტვერს სხვა-კი არა გამოუვა-რა ხელიდამ ფარსაგი და უსაფუძვლო ყბედობა-წინააღმდეგობით უნდა გამოიჩინოს თავისი „ცოდნა" და კიტრად ღირებული თავი მოიწონოს თავის უბანში. ყველა შურით დაბრმავებულს ვირ-ეშმაკას ჟანგისაგან შეჭმული თავისი თითბერიც-კი ხალასა ოქროდ მიაჩნია და სხვის წმინდა ოქროს-კი თითბერს ეძახის. ასეთი ვირეშმაკა კაცუნები ყოველთვის და ყველგან იმას სცდილობენ, სხვის ღირსეულს „მეს" ფეხი დააჭირონ და მის ნაცვლად თავიანთი ულირსი „მე" დააწინაურონ, მაგრამ სხვის კეთილის გასანადგურებლად გაჩარხული სისაძაგლე თითონვე შეიქმნება ხოლმე ბოლოს სამართლისაგან განადგურებული და მიწასთან გასწორებული. დიაღ, ეს ყოველთვის ასე ყოფილა, ასე არის და ასევე იქნება: სხვა-და-სხვა თავიდამ სხვა-და-სხვა ჭკუა გამოდის, ნამდვილს ხელოვანს ნამდვილი ხელოვანი აფასებს, და ვირი-კი თავის დღეშიაც ვერ გაიგებს ხურმა რა ხილია!"

იქვე მუშა-ვაჟკაცების გუნდი მძლავრის ლაშქარივით მიგუგუნებდა თავქვე მინდვრისკენ და ზარ-ზეიმით მიმღეროდა ჩვენის პოეტის მარგალიტებს: „ბიჭო, პური შემოსულა, ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად; ნამგლებს პირი გავულესოთ, გადავიქცეთ მთლად სიმღერად!" იმავე გზაზედ ვილაც უზარმაზარი რუსულ-ქუდა მიბარბაცებდა მიმოზნექით, ეტყობოდა კუჭში მოჭარბებული პილატეს ცრემლი უდუღდა. მთები გრგვინვით ბანს აძლევდნენ ალაწოდა რუსულ-ქუდას, როცა ის რიხიან ღორიალსავით მიროყინებდა ამ სიტყვებს. „ო, ზეციერო გამჩენო, ჰირი დამატყდა მრავალი: დღე მუდამ ზედსა დავეძებ, ქვეყნიდამ ქვეყნად მავალი, მაგრამ არ იქნა, ვერ ვპოვე, ვერც ვნახე მისი ნავალი! ეშმაკთა დაუკეტიათ ცხრა კლიტით ბედის სავალი!" ბოლოს შეშმიშივით გადიხარხარა ალაწოდამ, ტაში დაუკრა, ცეკვა ამოუშვა და თან ზედი ზედ გამეორებით მოსთქვამდა „პაწპაწინა ნიგვზიტოტის" ხმაზედ: „ნუ, ჩემო ბაბალე, ნუ მატყუებ მალმალე, თორემ ვეტყვი დედასა, აგიტეხავს ბნედასა!" ამ სიტყვის შეწყვეტის უმალვე შესწყვიტა თავისი ცეტური ცეკვაც, ისკუპა ზღვაში, ჯგაფანი მოადინა მორევში და შიგ ჩაიღუპა საუკუნოდ. მიეფარნენ მიმავალი მგზავრები მთა-გრეხილის კალთებს და მისწყდა იმათის ფეხის ხმაც. მხოლოდ ერთი ვილაცა ყავარჯნებზედ დაბჯენილი გძელ-წვერა, აკონკილ დაკონკილი და ხავს-მოკიდებული გლახა-მოხუცი და მილახლახებდა იმავე გზაზედ და მწარე-დაოსლებულის ხმით მიღიღინებდა: «ცხოვრება, ძმაო, ომია, თავს რა არ გადამხდომია, მაგრამ მაინცა ვცოცხალვარ, სული არ ამომხდომია". დასასრულ მოხუციც მიმეფარა თვალიდამ და ღრმა სიჩუმემ მოიცვა არე-მარე.

ამ დროს უნებურად მივიხედე უკან და ჩემს სიხარულ-გაოცებას საზღვარი აღარა ჰქონდა: ჩემს მახლობლად სამი ალვის ხე იდგა მწკრივად და წყნარად შრიალებდნენ ნიავ ქარისაგან ანათრთოლნი; მათს ქვეშ, ყვავილოვანს მწვანეზედ, ბროლის ტახტი მოსჩანდა ბაცის იისფერ ატლასის ქვეშაგებით დაფენილი და მოყვავილვარდებული. ტახტზე ჩემი ზეზია იწვა, ვით ანგელოზი, თეთრის სამოსლით თეთრად განსპეტაკებული, და ნაზად ეძინა ნეტარების ძილით. გაბადრულის მთვარის ნათელი გულ-წარმტაცად უცისკროვნებდა ზეზიას მინაზებულს სახეს და ოდნავ საბან-გადახდილს ძუძუ-კოკობიანს ბროლის გულ-მკერდს. მე უცბად მოვიხიბლე მისის გულ-წარმტაცის მშვენიერებით: რაღაც ალტაცების ძლიერმა გრძნობამ გამიტაცა, გონება დამიკარგა და ღონემიხდილ ავადმყოფივით ჩამაჩოქა მწვანე-ბიბინა-ველობიანის გულ-მკერდზე გულ-შემოყრილი. ბოლოს მოვიბრუნე გული როგორც იყო და წამოვდეგ ზეზე გონ-მოსული. ისევ სულგანაბული ღამე იყო: მთვარე ისევ თავისებურად კაშკაშებდა გიზგიზა ვარსკვლავებით მოჭედილს კამკამა ცაზედ, ქარიშხალისაგან ნაჯანხალევი ზღვაც ისევე უძრავად იდგა დაწყნარებული თავის ბუდეში, მთვარის სხივებიც ისევე ტურფად ბანაობდნენ ზღვაში იალ-ციალით და ჩემს ზეზიასაც ისევე კეკლუცად და გულ-წარმტაცად ეძინა მოშრიალე ალვის ხეების ქვეშ ბროლის ტახტზედ.

გაშმაგებით მწყუროდა მივკარებოდი ზეზიას და ვარდის კონასავით ჩამეკრა გულში და არც მინდოდა მისთვის მოსვენება დამეფრთხო. თავზე ვადექ ნეტარებით დამთვრალი და გულს ვიტკბობდი დახატულს ბუნებაში დახატულის ზეზიას ცქერით. თვით ალვის ხენიც-კი შესწყვეტდნენ ხოლმე დრო-გამოშვებით საამო შრიალს და ჩემს გულის საყვარელს დასცქეროდნენ სულ-განაბულნი, თითქოს ისინიც ანგელოზივით ზეზოს ცქერით სტკბებოდნენ. იქ პეპლებიც ჩემს ზეზიკოს თავს ევლებოდნენ; იქ იადონნიც საამურის ხმითა ჰგალობდნენ და ჩემსა სატრფოს შეჰხაროდნენ, შეჰტრფიალობდნენ; იქ ციდამ მთვარეც ჩემს ზეზიას აცისკროვნებდა; იქ ზღვის ნიავიც მის გიშრის თმას აბიბინებდა; იქ მოისმოდა წყლის ხმაც შორის მთით მონადენი და მას ღრიალით ბანს აძლევდნენ მთანი და კლდენი.

„მე ის მიყვარდა გაგიჟებით, ამბობდა ძილში ზეზია: იმასთან იყო ჩემი გული და გონება განუშორებლივ, იმისთვის ვკვდებოდი და ვიტანჯებოდი ყოველ დღე და ღამ, უიმედო სიყვარულით წამებული, და დღეს-კი იმანაც მე მომცა თავისი გული ნაცვლად ჩემის გულისა—და აღმადგინა მკვდარი ფეხზე! ო, ღმერთო! რა ტკბილი ყოფილა სიცოცხლე და მე-კი ეხლა, მხოლოდ ეხლა ვიგრძენ საბრალომ ენით-გამოუთქმელი იმისი სიტკბოება". ზეზიას ნათქვამმა სიყვარულის ცეცხლი უფრო გამიძლიერა გულში, უფრო ძალზე ამაჟრჟოლა ნეტარებამ და ენას გულის თქმის გამოთქმა მოაწყურა. დატკბა თვალი და გული ზეზიას ცქერით, გაღვთისნიერდა სული მისი ანგელოზურის სიმშვენიერით,

გამოიყვანოს კაცმა, რომ თუ ბულანჟიზმი კეთილად დაბოლოვდა და ძალმომრეობით არეულობა არ გამოიწვია, უმთავრესად თვით ბულანჟეს წყალობით მომხდარა ასეთ. გენერლის მახლობელთ არეულობის ატეხა და ეხლანდელის მთავრობის ძირს დამხობა უნდოდათ თურმე და ამას მომხრეობდა სხვათა შორის ნაკეც. ბულანჟეს ხშირად არწმუნებდნენ, რომ ძალა და ღონე ვიხმაროთო, სწერს ავტორი: მაგრამ ყოველთვის წინააღმდეგი იყო. 15 იანვარს საქმე ისე კარგად მოეწყო, რომ ხეს მარტო შერხევა-ღა უნდოდა და ნაყოფიც მაშინვე ჩამოვარდებოდა. დიურანის სასტუმროში ნადიმის დროს ყველანი იმას ჩასძახოდნენ, მოქმედება დაიწყე, ნურაფრის წინაშე ნუ დაიწევ, იერიში თვით ელისეს სასახლეზედ მივიტანოთო, მაგრამ ბულანჟეს ასეთი რჩევა არ მოსწონდა. გარემოებაც ხელს უწყობდა საქმეს. მამულიშვილთა ლიგის უმთავრესნი წევრნი იქ იყვნენ თავ-მოყრილნი და მარტო ბრძანება-ღა იყო საჭირო, რომ მოქმედება დაეწყოთ. ესენი გულ-და-გული, თავდაუზოგავნი იყვნენ, ფანატიკოსნი, და მთელს ჯარს ადვილად გადუდგებოდნენ წინ. მართალია, კლემანი მაგდალინას ეკკლესიასთან იდგა, მხარზედ ლენტ-გადაგდებული და პალტოთი მობურული, და ბრძანება ჰქონდა, რომ დაუყოვნებლივ დააპატიმრე გენერალი, თუ ვინიცობაა არეულობა რამ ასტყდაო, მაგრამ მარტო კლემანი რას იზამდა და ის-კი მარტო იყო; ყველა პოლიციის მოხელეები გენერლის მხარეს იყვნენ. ავტორის სიტყვით, საერო გვარდიაც ბულანჟეს ემხრობოდა და ჯარის-კაცები-კი ისეთს გუნებაზედ იყვნენ, რომ უეჭველად ამას იყვირებდნენ: „გაუმარჯოს ბულანჟესაო!“, მთავრობას რომ ყაზარმებიდგან გამოესხა შეამბოხეთა წინააღმდეგ. როცა დიურანის სასტუმროში დარწმუნდნენ რომ ბულანჟე წინააღმდეგია და არ უნდა ღონეს მიჰმართოსო, ერთმა იქ მყოფთაგანმა ამოიღო საათი, რომელშიაც შუაღამედგან ათი წუთი იყო გადასული, და სთქვა: „აგერ უკვე 10 წუთია, რაც ჩვენმა ვარსკვლავმა ჩაქრობა დაიწყოო“.

ავსტრი უნგრია. ამას წინად ჩვენ გვქონდა ნათქვამი, რომ გრ. ტააფემ დაიბარა სტარო-ჩეხების მეთაური რიგერი იმაზედ მოსალაპარაკებლად, თუ როგორ მოვახერხოთ და რა გზით მოვარიგოთ ერთმანეთთან გერმანელები და ჩეხებიო. ამ ლაპარაკს არავითარი კარგი შედეგი არა ჰქონია, როგორც ეტყობა. ვენიდგან დაბრუნებისათანავე რიგერს სტარო-ჩეხების დასის უფრო თვალსაჩინო წევრებთან მოლაპარაკება ჰქონია და გადაუწყვეტიათ, რომ დაუახლოვდეთ როგორმე მლადო-ჩეხებს და ვთხოვოთ, გვითხრან, რა პირობით დაგვეთანხმებიან და მოგვერიგდებიან ისე, რომ წინააღმდეგობა აღარ გაგვიწიონ ხოლმეო. ამას გარდა დავარწმუნოთ და ეხლავე გამოვაცხადებინოთ, რა გზას დაადგებიან, ჩეხური ენა ოფიციალურ ენადაც რომ იქმნას გამოცხადებულიო. ამ მორიგების ჩამოსაგდებად ორივე დასის მეთაურნი და თვალ-საჩინო წევრნი უნდა შეიყარნენ ერთად და მოილაპარაკონ. მლადო-ჩეხები, როგორც სჩანს, მარტო ჩეხურ ენის ოფიციალურ ენად ცნობას არ დაკმაყოფილდებიან და ამ მხრით თვით გრაფ ტააფეც-კი ვერას მოახერხებს-რა, თუმცა განზრახვა აქვს პრაგას წავიდეს და ბოგემიის სეიმის დაწყებამდე პირად მოელაპარაკოს მლადო-ჩეხების მეთაურებს.

## წვრილი ამბები

შესანიშნავაო, ამბობს ერთი გერმანული გაზეთი: რომ ბისმარკს თითქმის სულ უკან დსდევს მთელს სიცოცხლეში რიცხვი 3-ო, ამის დასამტკიცებლად გაზეთს შემდეგი საბუთები მოჰყავს: «ბისმარკის საგვარეულო დერბზე წარწერა: „In tribuna robur“-თან დახატულია სამყურა ბალახი და სამი ფოთოლი მუხისა. როცა კარიკატურაზედ ჰხატავენ ბისმარკს, თავზე სამ ბალანს უკეთებენ; სამი შვილი ჰყავს: ჰერბერტი, ვილჰელმი და მარია; სამი მამული აქვს: ფრიდრიხს რუე, ვარცინი და შენჰაუზენი; სწავლით სამის ფაკულტეტის დოქტორია. თავის სიცოცხლეში სამჯერ ჰქონდა ომი და სამჯერ შეჰკრა ზავი. სამი იმპერატორი შეჰყარა ერთად და სამი სახელმწიფო შეაკავშირა. ამას გარდა ბისმარკი სამს სახელმწიფო დასს მოურიგდა: ულტრამონტანებს, კონსერვატორებს და ნაციონალ-ლიბერალებს; ემსახურა სამს იმპერატორს და მთელს თავის სიცოცხლეში სამის უმთავრესის აზრის განხორციელებას სცდილობდა: გერმანელების შეერთება, პრუსიის გაძლიერება და საყოველთაო მშვიდობის ჩამოგდება უნდოდა.

— ევროპიული ტანისამოსი ავრე რიგად არ არის გამოსადეგი ამერიკაში, რადგანაც იქ სულ სხვანაირი ჰავაა და უფრო ცხელა. საზოგადო კრებებზე შეერთებულ შტატებში კაცები ზოგჯერ უჟილეტოდ მიდიან ხოლმე. ამას წინად კონგრესის კრებაზე ერთს დეპუტატს სრულიად გაიხადა თურმე სერთუკი და მდივანმა კრებისამ გამოუცხადა: მე არავის ნებას არ მივცემ, რომ უჟილეტოდ დაესწროს კრებასაო.

— გაზეთ «El Noticiero Universal»-ის სიტყვით, ისპანიაში ძლიერ გავრცელებულა ხოლერა. თვით მადრიდში რამდენსამეს შეჰყრია ეს სენი და მომკვდარა. ბევრი მცხოვრები ჩრდილოეთისაგან წავიდა თურმე მთებში გასახიზნად. ფერშალი ქალები ძლიერ გულ-მოდგინედ მუშაობენ და შემწეობას აძლევენ ავადმყოფებს. მთელს ისპანიაში ხელის-მოწერით ფული გროვდება დაზარალებულთა შემწეობისათვის.

— აი სად რამდენი ხორცი იჭმევა კაცის თავზე წელიწადში: ამერიკის შეერთებულ შტატებში—120 გირვანქა, ინგლისში—105 გ., საფრანგეთში—74 გ., გერმანიაში—69 გ., რუსეთში—48 გ., ავსტრო-უნგრიაში—64, ბელგიაში და ნიდერლანდიაში—69 გ., შვეციასა და ნორვეგიაში—87, ისპანიაში—49 გ., ყველაზე ნაკლები ხორცი იტალიას მოსდის. იქ წელიწადში კაცს ორთა შუა რიცხვით 23 გირვანქა ეთავსდება. ყველაზე მომეტებულს ხორცს ავსტრალიელები სჭამენ. კაცის თავზე—246 გ. მოდის წელიწადში.

— ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში სტუდენტების არეულობა მომხდარა. ბრაზილიის ახალს მთავრობას მომეტებული ნაწილი სულ რესპუბლიკანელები დაუნიშნავს წევრებად რიო ჟანეიროს სამეცნიერო აკადემიაში. სტუდენტებს მოუნდომებიათ ამ ამბის დღესასწაულით გადახდა და მეჯლისზედ პროფესორები მიუწვევიათ. პროფესორები არ წასულან და თანაც მეორე დღეს განცხადება დაუბეჭდიათ გაზეთებში და ახალი წევრები აკადემიისა უზრდელად მოუხსენებიათ, ეგენი რომ წევრებად იქნებიან, აკადემიას ყოველივე ნდობა და პატივი დაეკარგება ხალხის თვალშიო. ამ ამბავს მოჰყოლია სტუდენტების დემონსტრაციები და პროფესორების შეურაცხება. ერთს პროფესორს სიტყვაც-კი წარმოუთქვამს სტუდენტების წინაშე და უთქვამს: „სულელი ახალგაზდები ხართო, რიო ჟანეიროში წადით და თქვენისთანავე სულელი წევრები ნახეთო“. ამ სიტყვაზედვე დასხდომიან ამ პროფესორსა და კიჟინა დაუცემიათ. რადგან არეულობა უფრო ძლიერდებოდა თურმე, სენატს უნივერსიტეტი დაუკეტია და საქმის გამოკვლევა და გარჩევა საერო განათლების მინისტრისათვის მიუნდვია.

— ინგლისის გაზეთებში შემდეგი სასტატისტიკო ცნობებია მოყვანილი ლონდონის შესახებ. ამ ქალაქში 48 ხიდია თურმე მდ. ტემზაზე, 76 თეატრია, 2,200 ფოსტისა და ტელეგრაფის სადგური და 15,000 კაცი ჰმსახურობს შიგა; ლონდონში 547,410 სახლია და 1450 ეკკლესია. საავადმყოფო და სხვა ამ გვარი საქველ-მოქმედო დაწესებულება 2100-ია, 7,600 ლუდხანა და 1,800 ყავახანა, 3,100 ბულკის საცხობი, 2,500 იფრინდაა და 326,000 მოსამსახურე კაცი და დედაკაცი. ლონდონში იხარჯება ყოველ წლივ 2,200,000 ტომარა ფქვილი, 260,000 ღორი, 450 ათასი რქოსანი საქონელი, 1,600,000 ხბო, 8,500,000 ცალი ნანადირევი და წვრილი ფრინველი, 220 მილიონი თევზი. ლონდონში უფრო მეტი შოტლანდიელია, ვიდრე ედინბურგში, ირლანდიელიც მეტია იქ, ვიდრე დუბლინში. კათოლიკენიც ლონდონში უფრო ბევრი მოიპოვებიან, ვიდრე რომში, რომელიც დედაქალაქია კათოლიკეთა, და ებრაელებიც გაცილებით მეტია, ვიდრე მთელს პალესტინაში. ლონდონში 19,000 მეეტლეა და ამათ გარდა კიდევ მუშაობს 1,500 ომნიბუსი. ლონდონში მცხოვრებელი 1666 წელს 40,000 იყო, 1800 წ.—900,000 და წრეულს—4,425,000. თუ ასევე წავიდა ლონდონის გადიდების საქმე, შეიძლება ვსთქვათ, რომ 1900 წ. ხუთი მილიონი მცხოვრები ეყოლება. ყოველ წლივ ლონდონში იხარჯება 4 მილიარი ფრანკი.

## დეპეშები

20 აგვისტო.

პეტერბურგი. გერმანიის იმპერატორი ბერლინში საჩქაროდ იმიტომ დაბრუნდა, რომ იქ სოციალისტებს მიტინგი ჰქონიათ და ამ დროს ჩხუბი მოსვლიათ პოლიციასთან, თუმცა განსაკუთრებული-კი არა მომხდარა-რა.

გუშინ იდღესასწაულეს საუკუნისა და ნახევრის შესრულება წმ. სამსონის ეკკლესიის დაარსებიდგან; ამას გარდა პანაშვიდი გადიხადეს იქვე მყოფ მეგლთან არტემ ვოლინსკისა, ბირონის ცნობილის მოწინააღმდეგისა.

იმ წესით რკინის გზით გავლის შესასწავლად, რა წესითაც გაყვანილია იმიერ-კასპიის რკინის გზა, რომ ქვიშა და სილა არ მიუდის ლიანდაგს, საფრანგეთის მთავრობას გამოუგზავნია ხუროთ-მოძღვარი აიიპორტალი და მეტეჟე ბლანი. ეს საგანგებოდ გამოგზავნა ორის კაცისა იმას გამოუწვევია, რომ საფრანგეთს განზრახვა აქვს, რკინის გზა გაიყვანოს 300 კილომეტრზედ ხმელთა შუა ზღვიდგან საჰარაზედ შუა აფრიკამდე.

ასხაბადი. ბევრს აქ მცხოვრებს გა-

---

გამჭვერმეტყველდა გრძნობის ცეცხლით აღგზნებული ენა და ნამძინარევს ნელის ალტაცებით ვეუბნებოდი ძლიერის სიყვარულით მოხიბლული:

შენა ხარ ჩემი მზე-მთვარე,
ჩემი სიცოცხლე მზიანი;
შენსა მშვენებას ნატრობენ
ნარგიზნი, ვარდნი, იანი.
შენ შეუქმნიხარ ზენარსა
დიდ-სულოვანი, ჭკვიანი,
ციურის ცეცხლით აღსავსე,
ნაზი და სიტყვა-წყლიანი!
ღამითა ცისა მნათობნი
გუნდ-გუნდად იკრიბებიან,
შენ გიცქერიან ციდამა,
მთელს ღამეს შენით სტკბებიან;
სამოთხის ანგელოზები
ნანინას გეუბნებიან,
მილის ვარდ-საკმელს გიკმევენ,
გეტრფიან, თავს გევლებიან.
შენ მომანიჭებ, ზეზიავ,
სიცოცხლეს ნეტარებისას
და შენვე მომცემ სიბრძნესა
უძლევთა ძლიერებისას:
სიბრძნეს ძმათათვის სამოყვროდ,
მათ გულის განცისკრებისას,
მტერთათვის თავზარ საცემსა,
უწყალოდ აოხრებისას!

ამ დროს საამურად შეიძრა ზეზია და სული გავინაბე. ზეზიამ ნაზად გაახილა თვალები, უცბად წამოიწია ბალიშიდგან, კეკლუცად გამოიწოდა ჩემსკენ ბროლის ხელები და ტკბილად შემომტირა სიხარულის ცრემლებით: „შენა ხარ ჩემი სასოება და სიხარული, ჩემი სამოთხე, ყვავილებით მიმოხატულო!“ მე მის გვერდით ჩამოვჯდე ატლასის ქვეშაგებზე და გაგიჟებით ჩავიკარ გულში თვალცრემლიანი და ცეცხლივით მგზნებარე ზეზია. გრძნობით სავსე ზეზია წნორის ფურცელივით თრთოდა ჩემს გულში და მისი თეთრად მინაზებული ლოყები ვარდის ფერ ატლასივით ენთებოდნენ აჩქროლებულ სისხლისაგან. შემდეგ ნაზად შემომხედა სიყვარულის ცეცხლით თვალებ-ანთებულმა და მითხრა ნეტარებისაგან დასუსტებულის ხმით: „ჰო, ესე მაგრა მომეხვიე შენგან დაგულსა, რომ გული გულსა დაეწაფოს და სული სულსა! გებრალებოდე შენის ცეცხლით ცეცხლ მოდებული, აჰა, დალიე სული ჩემი დანატრებული; იგი დაგიტკობს სისხლის ცრემლით ნამტირალს გულსა, და შენი გული მე მომარჩენს მრავალ-ტანჯულსა. შემდეგ ავდგებით, ერთად გავწევთ უღელს შრომისას, ერთად მხარს მივცემთ წარმატებას ჩვენის ქვეყნისას! ახ!.. ნეტავი მარად ცოცხალი მქნა ასე შენს გულში და ესე ტკბილად სულსა ვლევდე შენს სიყვარულში?“

ზეზიას თვალები მიებნიდა, სიტყვა შეუწყდა და კარგა ხანს იყო მდუმარედ ჩემს გულზედ ნაზად მოსვენებული. ბოლოს მწარედ ამოიოხრა, ყელზე ხელები შემომხვია მაგრა, ძალზე ჩამეწმახა ფათალოსავით გულში და დაიწყო: „მე შენ დამტანჯე და დამღალე სიყვარულითა, მაგრამ ამ ქვეყნად შენ მიყვარდი მარტო გულითა, შენზედ ვფიქრობდი, შენ გხედავდი ცხადლივ თუ ძილში და, ხანდახანა გართობილი ფიქრს და დუმილში, მალვით ვსტიროდი, ვით განთიადს ვარდი პობილი, ჩემი ბალიში ცრემლით იყო მთლად დალპობილი. ერთხელ შემესმა, ვითომ ავად გახდი შენ კიდე, გულს ელდა მეცა მე საბრალოს და დავიბნიდე. ბოლოს ქვითინით ხატს წინ ვსთხოვდი შენსა ლხენასა: მთელს ქვეყანასა, ზღვას და ხმელეთს, ცას და ზეცასა! ძილი და მადა დამეკარგა, გული დნებოდა, უშენოდ ყველა ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა. ჩემთვის მზე აღარ ანათებდა, შენთვის ვკვდებოდი, დღითი დღე ღონე მაკლდებოდა, ვუძლურდებოდი; ვინც-კი მნახვიდის, ატირდის და ვენანებოდი, მაგრამ ჩემს ნაღველს არავის არ ვეუბნებოდი. ოდეს შენს სახელს ყურს მოვკრავდი—გავცოცხლდებოდი და შენის ნახვის წყურვილითა გავშმაგდებოდი; და რა გნახვიდი, ვიბნეოდი და ვდუნდებოდი, ხან ვყრუვდებოდი, ვწითლდებოდი და ვბლუვდებოდი! ო, ღმერთო ჩემო! რად ვდნებოდი, რისთვის ვკვდებოდი, და ჩემს წამებას ჩემს მზეს რად არ ვეუბნებოდი!.. ოხ, კარგი გულო, ნუღა მტანჯავ სინანულითა, აი გვერდთა გყავ შენი მკვლელი, დასტკბი სულითა!“

დადუმდა ზეზია და უფრო მაგრა ჩამეკრა გულში ქვითინით. გულით მინდოდა, გულ-ანატირი ზეზია მენუგეშებინა და მეთქვა: კმარა, ნუღა სტირი, ჩემო თვალის ნათელო, გულის სიცოცხლევ და სიხარულო! ჩემი სიყვარულის ლახვრით დაჭრილს შენს ქალწულს გულს ჩემისავე ცრემლით მოვბან იარას და ჩემსავე გულს დავადებ მალამოდ-მეთქი, მაგრამ სულის ძლიერმა ნეტარებამ ენა დამიმუნჯა და სიტყვის თქმა ვეღარ მოვახერხე. სიბრალულისა და სიყვარულის მდუღარე ცრემლები-კი უხვად ჩამომდიოდა თვალთაგან და ჩემს მშვენიერს სატრფოს ღილის ნამებივით ევცვარ-მარგალიტებოდა მთვარის სხივებით ალაპლაპებული.

ბოლოს მოიბრუნა გული ზეზიამ, ნაზად შემომხედა ნამტირალის თვალებით სიყვარულის ცეცხლის აღგზნებულმა, თმაზე ბროლის თითები გადამისვა ნარნარად და მითხრა: „ვაი ჩემს თავსა, რათ შეჰქმნილხარ ზაფრანის ფერად, ვარდო გულისავ, გაჩენილო მის ასაძგერად. რამან დაგადნო, ვით სანთელი, სატირლად, მწარედ და ან რამ შეგქმნა, ჩემო კარგო, ასე მწუხარედ? ნუ, ნუღა სტირი, სულო ჩემო, განელილსა ჰირსა, ეს არ შეჰშვენის თავ-განწირულს ტანჯვისა გმირსა. გამოიდარე, ვით მზემ ცაზე, გახარებითა და აღმასრულე ტკბილ-სიცოცხლის ნეტარებითა. დღეს შარბათს გვასმევს უხილავი ტრფობისა ღმერთა, ცაც-კი შეგვენატრის და დაგვხარის ჩვენ ბედნიერთა! მე მოგიბრუნებ, ჩემო ყველავ, სიბრძნეს ციურსა, იმედს, ძალ-ღონეს, ნეტარებას ამ ქვეყნიურსა. ჩემსა სიცოცხლეს შენ განაცვლებ, არ მოგშორდები: შენთან ვიხარებ, შენთან ვიგლოვ, შენთან მოვკვდები!“

ამ დროს ვანიკო ჩამოეშვა ციდგან ფრენითა და ჩემს ზეზიას ვარდი მისცა მოწიწებითა. ის იყო კიდეც დაიჭირა ცამ საზარელად და გამეღვიძა სულით დამტკბარს მე სანატრელად.

დ. მაჩხანელი

რაულს ერთი თთვე მიეცა ვადა, რომ საქმეებს მორჩით და ამიერ-კასპიის მხრიდგან წადითო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუშინ, დილის 8 საათზედ, ფოსტის მატარებლით მოვიდა აქ ფინანსთა მინისტრი და თან ახლდა სარკინის-გზო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი ს. ვიტტე. რკინის გზის სადგურზედ მინისტრს მიეგებნენ: იარმუკის მმართველი, წარჩინებულნი სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი და იარმუკისა და საბირჟო ვაჭრების წევრნი. სადგურიდგან მინისტრი ჯერ იარმუკის უმთავრესს სახლში წავიდა და იქიდგან, ვიტტეთურთ, არქიერ ვლადიმირთან წაბრძანდა. 9 საათზედ იარმუკის მმართველის თხოვნით გერბის დარბაზში შეიყარნენ იარმუკაზედ თავმოყრილი ვაჭრების რწმუნებულნი, ქალაქის წარმომადგენელნი, გემების პატრონები და სხ. მინისტრს თავმჯდომარე ოსიპოვი მიეგება და პასუხად მინისტრმა ჰბრძანა: „დიდად მოხარული ვარ, რადგან ამ დიდს კრებაზედ უნდა შეგატყობინოთ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა წამოსვლის დროს კეთილ ინება და მომანდო გადმოგცეთ, კვლავ ვზრუნავო ვაჭრობისა და მრეწველობის აღსაყვავებლად. მისის უდიდებულესობის ზრუნვას ის ახალი საბუთიც ამტკიცებს, რომ 16 აგვისტოდგან გამოიცა ახალი კანონი და გარდასახადი მოემატა უცხო სახელმწიფოდგან შემოსატანს საქონელს, ჩაისა და სხ. ამ გვარ ნივთებს გარდა, რადგან ჩვენში არ მოდის. მას შემდეგ, რაც ვექსილის კურსმა ფერი იცვალა და აიწია, მფარველობითს ტარიფებს მნიშვნელობა აღარა აქვთ. იმედია, რომ კიდევ გნახავთ სამინისტროში დამოყნის გარდასახადის საქმეთა განხილვის დროს, იმ საქმისა, რომელიც ჩქარავე წარედგინება სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად. ბოლოს მინისტრმა დასძინა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ჰბრძანა, ნუღარ მოუცდით გარდასახადთა გადასინჯვას და ეხლავე მოუმატეთ 1891 წ. 1 ივლისამდეო. ამ დრომდე ეს საქმე დაბოლოვებული იქნება და ახალი გარდასახადი დაინიშნება. მინისტრის მიერ წარმოთქმულს სიტყვას საზოგადოება დიდის ვაშა-ვაშათი მიეგება და მადლობა გადაუხადა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მინისტრის პატივსაცემლად გამართულს სადილზედ პირველად მინისტრმა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვა. ამ სადღეგრძელოს რუსეთის საერო ჰიმნი და აღტაცებული „ურას ძახილი“ მოჰყვა. შემდეგ ბირჟის ვაჭართა თავმჯდომარე ოსიპოვმა მიჰმართა მინისტრს და სთქვა: „თქვენო მაღალ აღმატებულებავ! რუსეთის ვაჭრებმა, ნიჟე-გოროდისავე იარმუკობაზედ მოყრილმა 1887 წ, მოწიწებითა გთხოვეთ, რომ თქვენ მოუსვლელად ნუ დაგვტოვებთ შემდეგშიაცაო. თქვენ აასრულეთ ეს თხოვნა. რა დიდი განსხვავებაა იმ წარსულსა და ეხლანდელს დროში? მაშინ თქვენ ის იყო დაიწყეთ თქვენის მძიმე მოვალეობის აღსრულება და "გაჭირების დროც იყო. მას შემდეგ ჩვენის ბიუჯეტიდგან დეფიციტი განდევნეთ, სახელმწიფოს კვლავ მოუპოვეთ ნდობა, ფინანსების საქმე ჩვენის სახელმწიფოსათვის ღირსეულად მოაწყეთ და ხმა ჩააკმენდინეთ ვაჭრობისა, მრეწველობისა და ფინანსების ავის მდომთ. ეხლა იყო-და, სასიამოვნო ამბავი მოგვიტანეთ ბაჟის მომატებისა უცხოეთის საქონელზედ. დასასრული, ხელმწიფე იმპერატორის სურვილისამებრ, ეგ მძიმე მოგზაურობა იკისრეთ და იმედია, თქვენის ემაგ შრომის წყალობით ჩვენის აღმოსავლეთთან კეთილის დამოკიდებულების საქმე უკეთ წავა. რუსეთის ვაჭრობა თქვენს ბედნიერს მოგზაურობასა სთხოვს ღმერთს და ამასთან იმედი აქვს, რომ კიდევ მრავალს წელს არ მოაკლებთ თქვენ მფარველობას. ღმერთმა ადღეგრძელოს ივანე ალექსის ძე ვიშნეგრადსკი“. ამ სადღეგრძელოს საერთო „ურა“ მოჰყვა. ფინანსთა მინისტრმა პასუხად სთქვა, რომ ბ ნ ოსიპოვის მიერ წარმოთქმულს სიტყვაში ჩემი ღვაწლი მეტად გაზვიადებულია, ჩემდა თავად იმას ვიტყვი, რომ მხოლოდ ერთი სამსახური მიმიძღვის და ეს სამსახური ის არის, რომ ყოველთვის და ყოველის ღონით ვსცდილობდი დაურღვევლად აღმესრულებინა ყოველთვე ბრძანება ხელმწიფე იმპერატორისა, რომელიც მუდმივ რუსეთის კეთილდღეობის ზრუნვაშიაო. დასასრულ მინისტრმა მიირთვა სადღეგრძელო რუსეთის ვაჭრებისა, გუბერნატორისა და უწინდელის და ახლანდელის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეებისა. სადილი საღამოს 8 საათზე გათავდა. დღეს 6 საათზედ ქალაქი [illegible] გემ-ხომალდების პატრონნი კლუბში მინისტრისპატივსაცემლად სადილსა [illegible] თავენ.

---

# ბ ა ლ ა ნ ს ი

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 მკათათვისათვის 1890 წლისა.

**აქტივი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული . . . . . . . | 21,370 | 35 | | |
| გირაოს ფურცლებით . . . . . . | 103 000 | — | 124,370 | 35 |
| ფული მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . . . . | 6 461 | 39 | | |
| ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში . . | 310 | 73 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . . . | 23,160 | 49 | | |
| დ) კორრესპონდენტებთან . . . | 86,055 | 70 | 115,988 | 31 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . | — | — | 30 | — |
| სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში: | | | | |
| ა) უზრუნველ-საყოფლად გირაოს ფურცლების გამოცემისა (წესდებისა § 50). . . (220,000) | 202,728 | 18 | | |
| ბ) ტირაჟში გამოსულთა გირაოს ფურცელთა და კუპონთა . (50,000) | 46 763 | 80 | | |
| გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . . . . . (60,000) | 56,859 | 89 | 306,351 | 87 |
| სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასაში: | | | | |
| 5% ობლიგაციები II აღმოს. სესხისა, სათადარიგო თანხაში ჩარიცხული. . . . . . . . (500) | 489 | 60 | | |
| 6% გირავნობის ფურცელნი ქუთაისის ბანკის სასაკუთრონი. . (56,300) | 54,027 | 28 | 54,516 | 88 |
| სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 ივლისამდე 1890 წლისა . . . . . . . . . | — | — | 10,263 | 27 |
| სესხნი გასაცემად დანიშნულნი . . . | — | — | 87 800 | — |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე 43½ წლით . . . . . | 1.206,500 | — | | |
| ბ) ქალაქის მამულებზე 18⁷⁄₁₂ წლით | 2.061,800 | — | 3.268,300 | — |
| გ) მოკლე-ვადიანნი სესხნი . . . | — | — | 99,410 | — |
| მოვალენი: ა) შემოსატანი ფული, რომელსაც შეღავათი აქვთ: | | | | |
| 1) ხანგრძლივთა სესხთამებრ . . | 147,661 | 69 | | |
| 2) მოკლე ვადიანთა სესხთამებრ. | 4,496 | 85 | 152,158 | 54 |
| ბ) ვადას გადაცილებული გადასახადი: | | | | |
| 1) ხანგრძლივთა სესხთამებრ . | 74,125 | 99 | | |
| 2) მოკლე ვადიანთა სესხთამებრ. | 2.120 | 23 | 76,246 | 22 |
| ჯარიმა მოვალეებზე. . . . . . | — | — | 1,262 | 77 |
| გირაოს ფურცელნი, მოსასპობლად შემოსულნი . . . . . . . . | — | — | 42,000 | — |
| ვადამდე დახურდავებული კუპონები . | — | — | 22,566 | — |
| სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . | — | — | 27,547 | 93 |
| დასაბრუნებელი ხარჯები . . . . | — | — | 147,968 | 50 |
| ხარჯები: ა) ბანკის მოწყობა-მორთულობაზე. . . . . . . . . | — | — | 1,684 | 98 |
| ბ) მართვა-გამგეობისა. . . . . | 13,463 | 54 | | |
| გ) არა-ჩვეულებრივი . . . . | 17,765 | 85 | 31,229 | 39 |
| კომისია კუპონებისა და გირავ. ფურც. გარდასახადისა. . . . . . . | — | — | 908 | 42 |
| 3% გარდასახადი მოგებიდგან. . . | — | — | 685 | 78 |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცელნი . . . (2,500) | — | — | 2,250 | — |
| გერბის გარდასახადი . . . . . | — | — | 104 | 21 |
| კუპონების ოცის წლის გირავნობის ფურცელთა . . . . . . . | — | — | 12,135 | — |
| ტალონები გირავნობის ფურცელთა . | — | — | 335,000 | — |
| ბალანსი | — | — | 4.920,778 | 42 |

**პასსივი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ძირეული თავნი . . . . . . . . | — | — | 549,325 | — |
| სათადარიგო თანხა . . . . . . . | — | — | 63,207 | 29 |
| საზოგადო საჭიროების თანხა . . . | — | — | 2,984 | 24 |
| გირაოს ფურცელნი გამოსაცემნი: | | | | |
| ა) 43½ წლიანი . . . . . . . | 13,100 | — | | |
| ბ) 18⁷⁄₁₂ „ . . . . . . . | 74,700 | — | 87,800 | — |
| გირაოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი: | | | | |
| ა) 43½ წლიანნი. . . . . . | 1.206,500 | — | | |
| ბ) 18⁷⁄₁₂ „ „ . . . . . . | 2.061,800 | — | 3.268,300 | — |
| თანხა სესხთა მოსასპობი: | | | | |
| ა) 43½ წლიანი . . . . . . | 5,421 | 83 | | |
| ბ) 18⁷⁄₁₂ „ „ | 69,842 | 62 | 75,264 | 45 |
| თანხა სარგებლისა: | | | | |
| ა) 43½ წლიანი . . . . . . | 36,195 | — | | |
| ბ) 18⁷⁄₁₂ „ „ . . . . . . | 61,854 | — | 98,049 | — |
| მომავალი გადასახადი . . . . . | — | — | 1 | 16 |
| ფული გადადებული საზღვეველად: | | | | |
| ა) გირაოს ფურცელთა ტირაჟში გამოსულთა . . . . . . . . | 93,200 | — | | |
| ბ) 1 ივლისის 1890 წლის ვადის გირაოს ფურცელთა კუპონები . . | 102,114 | — | | |
| გ) წინანდელი ვადებისა . . . . | 8.382 | — | 203,696 | — |
| ვადამდე მოსპობილნი სესხნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით. . . (43½ წ. | 247 | 59 | | |
| (18⁷⁄₁₂ „ | 999 | 05 | 1,246 | 64 |
| ბ) გირაოს ფურცლებით. . (43½ წ. | 2,900 | — | | |
| (18⁷⁄₁₂ „ | 39,100 | — | 42,000 | — |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა . | 9,382 | 39 | | |
| ჯარიმა . . . . . . . . . | 3,894 | 30 | | |
| ერთ-დროებითი შემოსატანი ფული . | 976 | 81 | | |
| სხვა-და-სხვა სარგებელი. . . . . | 11,340 | 43 | | |
| ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვა. . . . . | 42,413 | 50 | 68,007 | 43 |
| გადამავალი ჯამი . . . . . . . | — | — | 3,145 | 64 |
| სარგებლიანი ქაღალდები კასსაში: | | | | |
| ა) შესანახავად . . . . . . | 21,300 | — | | |
| ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვ. . | 81,700 | — | 103,000 | — |
| სხვა-და სხვა კრედიტორები . . . . | — | — | 5,273 | 36 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი გადასახადი . . . . . . . . . . | — | — | 1,644 | 36 |
| გამოსაცვლელი კუპონის ფურცლები . | — | — | 12.135 | — |
| ძველი ტალონები მოსასპობ გირავნობის ფურცელთა . . . . . . . . | — | — | 335,000 | — |
| 5% სახელმწიფო ლალა. . . . . | — | — | 698 | 85 |
| ბალანსი | — | — | 4.920,778 | 42 |

ბანკის გამგეობა

Доз. ценз Тифлисъ, 21-го Августа 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე